უფასო

ჩვენი გაზეთი

31 მარტი
2022 წელი

№2 (57)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.ჰ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ომი და მშვიდობა

უკრაინა თავისუფლებისთვის

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის რესპუბლიკამ უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომი წამოიწყო. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დონბასისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეგიონების დაცვის საბაბით უკრაინაში სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ განაცხადა. სარაკეტო დარტყმები დაიწყო ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის დედაქალაქ კიევთან ახლოს. უკრაინაში საომარი მოქმედებები დღემდე მიმდინარეობს, რომელსაც უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე და სამხედრო პირი შეეწირა. დაღუპული არიან ბავშვებიც. დაიბომბა დიდი ქალაქები, განადგურდა შენობები, მათ შორის საავადმყოფოები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, მთელი საქართველოს მასშტაბით უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა, რომელიც უკრაინაში უკვე გაიგზავნა, თუმცა ჰუმანიტარული დახმარების შეგროვება ისევ გრძელდება. პირველადი სამედიცინო დახმარების საგნები, მედიკამენტები, არამალფუჭებადი პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები, ტკბილეული, ტანსაცმელი, ფულადი თანხა და სხვა შემოწირულობები ბაღდათის მუნიციპალიტეტშიც შეგროვდა. უკრაინის მოსახლეობის დასახმარებლად ჰუმანიტარულ აქციაში აქტიურად არიან ჩართულები საჯარო მოხელეები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა, საჯარო სკოლები და სხვა დაწესებულებები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, თანხა შეუძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე – 300248800. აღნიშნული გადარიცხვის ინტერნეტბანკით განხორციელებისას უნდა აირჩიოთ ბიუჯეტში გადარიცხვა. შენიშვნაში გთხოვთ, მიუთითეთ – „უკრაინისთვის.“ დახმარების გაწევის მსურველ მოქალაქეებს შეუძლიათ სხვადასხვა ჰუმანიტარული ნივთის შეგროვება, რომლებიც შეგიძლიათ მიიტანოთ მისამართზე: ქ. ბაღდათი კახიანის ქუჩა №1, კულტურის სახლის შენობა. ჰუმანიტარული ტვირთის პირველი ნაწილი ბაღდათის სახელით უკრაინაში უკვე გაიგზავნება.

ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება

სოციალური პროგრამები ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ქვეყნისა და ჩვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის მარეხი მშვენიერაძის თქმით, მიმდინარე წელს ამ მიმართულებით საკმაოდ კარგი სიახლე გვაქვს. გაიზარდა სოციალური პროგრამების რაოდენობა და დაფინანსების ზედა ზღვარი. ბავშვის უფლებათა დაცვის კანონის ფარგლებში, აღნიშნულ სამსახურში ჩამოყალიბდა ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომლის ფაგრლებშიც ამოქმედდა „ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების“ მუნიციპალური პროგრამა.

„მსგავს პროგრამას ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია უკვე ორი წელია იმერეთის განვითარების ცენტრის მხარდაჭერით ახორციელებს და რამდენიმე ათეული ოჯახის დახმარება შევძელით. ეს არის მოწყვლადი ოჯახების საჭიროებაზე დაფუძნებული სერვისი, რომელიც მათ კომპლექსურ მხარდაჭერას ითვალისწინებს. აღნიშნული პროგრამით სარგებლობა შეუძლია ბავშვიან ოჯახებს. სოციალური მუშაკის მიერ ხდება საჭიროებების გამოვლენა და შეფასება, განისაზღვრება ოჯახის უნარი, შესაძლებლობები და ჩვევები. ამის მიხედვით იგეგმება ოჯახის გაძლიერების მიმართულება. ეს შეიძლება იყოს როგორც ეკონომიკურ გაძლიერებაზე ორიენტირებული, ასევე ფსიქოლოგიური ან სხვა პრობლემების მოგვარებაში დახმარება, რომლის განხორციელებასაც მერია გარდა ადგილობრივი ბიუჯეტისა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებითაც უზრუნველყოფს. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს დასაქმების ხელშეწყობასაც. შესაბამისი განათლებისა და სურვილის შემთხვევაში ხდება ოჯახის წევრების გადამზადება და დასაქმების მიზნით რეკომენდაციის გაწევა. გასულ წელს დახმარება გავუწიეთ 20 ოჯახს“, – აღნიშნა მარეხი მშვენიერაძემ.

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს სხვადასხვა სოციალურ პროგრამას სთავაზობს, რომელიც 22 მუხლისაგან შედგება. ბენეფიციარები, რომლებიც დააკმაყოფილებენ მოთხოვნებს და წარადგენენ შესაბამის დოკუმენტებს, ისარგებლებენ შემდეგი პროგრამებით:

- **სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება** (საოპერაციო, სამკურნალო და გამოკვლევების ხარჯების თანადაფინანსება).
- **ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები.**

პროგრამით ისარგებლებენ მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილე გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახები სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებით – ერთჯერადად 250 ლარის ოდენობით.

- **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების (მშობელი, მეუღლე ან შვილი) ერთჯერადი დახმარება.**

პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახების (მშობელი, მეუღლე ან შვილი) დახმარებას ერთჯერადად **300** ლარის ოდენობით.

- **უფასო სასადილოს დაფინანსება.**

გაგრძელება მე–2 გვ.

ახალი გზა 14 საოჯახო მარანს

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული მდგომარეობა დღითიდღე იცვლება. მოწესრიგდა საავტომობილო გზები, გარე განათების სისტემები, სანიაღვრე არხები და სხვა. ყოველ წელს დაფინანსება რამდენიმე მიმართულებით გამოიყოფა. მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური აქტიურად მუშაობს, ჩართული არის სხვადასხვა პროექტსა და პროგრამაში. სწორედ ასეთი დაფინანსებების შედეგია არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება ბაღდათის მუნიციპალიტეტში. ჩვენ ვესაუბრეთ სამსახურის უფროსს კახა მსხვილიძეს და გთავაზობთ ინფორმაციას 2022 წელს დაგეგმილი და 2021 წელს შესრულებული სამუშაოების შესახებ.

„სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში მისასვლელი გზები ძირითადად მოწესრიგებულია, თუმცა გამოწვევად რჩება შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის საკითხი. ბაღდათის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია იმ მოცულობის ადგილობრივი შემოსავლები, რომ მხოლოდ საკუთარი რესურსებით მოახერხოს გამოვლენილი საჭიროების დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომელიც ქვეყნის რეგიონული განვითარების პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ყოველწლიურად ფონდიდან გაწეული დაფინანსება ხასიათდება მზარდი დინამიკით. 2021 წელს 17 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი იყო 4 962 489 ლარი. აქედან 16 – საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია გახლდათ, ერთი კი ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა. საერთო ჯამში 2021 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით განხორციელდა 12 673 გრძ. მ. გზის რეაბილიტაცია. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ღვინის მარნიდან ე. წ. თავხელიძეების ბოგირამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია განხორციელდა ერთფენიანი ასფალტო/ბეტონის საფარით, საფუძველი მოეწყო ე. წ. რეციკლირების მეთოდით, ჰიდროშემკვრელის გამოყენებით. სავალი ნაწილის სიგანე საშუალოდ შეადგენს 4,5-5 მ-ს. გზების გასწვრივ მოეწყო ნიაღვარმიმღები არხები და სხვა საინჟინრო ნაგებობები. დანარჩენი თხუთმეტი გზის რეაბილიტაცია მოხდა 4-5 მეტრიანი სიგანის 16 მმ-იანი სისქის რკინაბეტონის საფარით.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა 11 პროექტი, რომელთაგან დასრულებულია 8, ხოლო 3 გრძელდება. საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2021 წელს დაფინანსდა 2 პროექტი 80 733 ლარით. სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის №2 და სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. წითელხევის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის საჯარო სკოლებში განხორციელდა სველი წერტილის რეაბილიტაცია.

გასულ წელს განხორციელდა 38 წვრილი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი იყო 346 000 ლარი, რომელსაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაემატა თანადაფინანსება. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტით განხორციელდა ერთი პროექტი – ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიზნესგანვითარებისა და ტურიზმის მომსახურების ცენტრის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულებით 945 856 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. მიღება-ჩაბარების საკითხის განსახილველად ველოდებით საექსპერტო დასკვნას“, – განაცხადა კახა მსხვილიძემ.

2022 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 2 854 187 ლარი (პირველი ეტაპი), განსახორციელებელ 6 ინფრასტრუქტურულ პროექტზე:

- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდველაში ე. წ. ზივზივაძე-შველიძეების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (გარდამავალი 2021 წლიდან);
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ე. წ. ბუიძე-კვირიკაშვილების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (გარდამავალი 2021 წლიდან);
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ე. წ. თავხელიძეების ბოგირიდან პირველი საჯარო სკოლისკენ მიმავალი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (დაიწყო 2021 წელს და განხორციელდა გზის ნაწილის რეაბილიტაცია);
- ქ. ბაღდათში კ. ფოცხვერაშვილის ქუჩის ჩიხების გზის საფარის რეაბილიტაცია და ამავე ქუჩაზე, სხვადასხვა ლოკაციაზე გვერდულზე ფერდის გამაგრება;
- სოფელ პირველ ობჩაში პატარიძეების უბნიდან სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდველაში ე. წ. ზივზივაძეების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე ობჩაში ე.წ. ჭყეპნარას უბნისა და ე.წ. საბუკიას უბნის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები (რკ/ბეტონის საფარის მოწყობა, სხვადასხვა საინჟინრო ნაგებობების მოწყობა). სამუშაოთა მწარმოებელია შ.პ.ს. „პალადა“ და შ.პ.ს. „გზები“. პროექტის ღირებულება შეადგენს 4 148 999 ლარს. სარეაბილიტაციო გზის სიგრძეა 8562 მეტრია, პროექტი დასრულდება მიმდინარე წელს.

აქტიურად მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, ქალაქ ბაღდათში წერეთლის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტი საქართველოს

გაგრძელება მე–2 გვ.

გავშვიანი ოჯახების გაძლიერება

დასაწყისი 1-ლი გვ.

პროგრამის ფარგლებში, ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვებით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებული ბენეფიციარები (არაუმეტეს 60 ბენეფიციარისა). ბენეფიციარად შეირჩევა პირი, თუ ის აღრიცხულია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვს 0-დან 65001-მდე ქულა.

• **ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა**.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახები, რომელთაც შვილი შეეძინათ 2021-2022 წლებში და არ უსარგებლიათ აღნიშნული დახმარებით, შეძლებენ მიიღონ ფულადი დახმარება ერთჯერადად:

ა) მე-2 შვილის შეძენისას 200 ლარი,

ბ) მე-3 შვილის შეძენისას 300 ლარი,

გ) მე-4 და შემდეგი შვილის შეძენისას **500** ლარი,

დ) ტყუპების შეძენისას **800** ლარი.

• **თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა მხარდაჭერა**.

ქვეპროგრამით ისარგებლებენ ეკონომიკურ სიდუხჭირეში და/ან მოულოდნელ კრიზისულ ვითარებაში მყოფი ოჯახები.

• **ვეტერანთა დახმარება.**

პროგრამით ისარგებლებენ: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები – თითოეული **300** ლარის ოდენობით და მარჩენალდაკარგულები თითოეული – **200** ლარის ოდენობით 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით.

ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები თითოეული – **200** ლარის ოდენობით 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ეკონომიკურად გაჭირვებული ვეტერანები, თითოეული **100** ლარის ოდენობით 17 ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით.

დ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანები თითოეული **100** ლარის ოდენობით.

• **შშმ პირთა დახმარება**.

1. არასრულწლოვანი შშმ პირების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.
2. შშმ პირების სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიების დაფინანსება.
3. შშმ პირთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა.
4. შშმ პირთა სოციალური და ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარების და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება.

• **ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა დახმარება.**

პროგრამით ისარგებლებენ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აღდგენით სამუშაოებზე მონაწილე ბენეფიციარები, თითოეული ერთჯერადად – 200 ლარის ოდენობით.

• **დღეგრძელ (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება**.

დღეგრძელი მოქალაქეები მიიღებენ ფულად დახმარებას, თითოეული ერთჯერადად 500 ლარის ოდენობით.

• **დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება.**

პროგრამით ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარებას, თითოეული თვეში **200** ლარის ოდენობით.

• **18 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვთა ოჯახების დახმარება.**

პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 18 წლამდე ასაკის ობოლი ბავშვების (და რომელთაც 2022 წელს შეუსრულდათ 18 წელი) ოჯახები. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთჯერადად, თითოეულ ბავშვზე **200** ლარის ოდენობით.

• **მარტოხელა მშობლის ფინანსური დახმარება.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მარტოხელა მშობლებს გადაეცემათ ფულადი დახმარება, ერთჯერადად **300** ლარის ოდენობით.

• **მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება.**

პროგრამით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით, თითოეულ ბავშვზე **50** ლარის ოდენობით.

• **უჭირისუფლო მიცვალებულების დაკრძალვის ხარჯები.**

პროგრამის ფარგლებში უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯების მისაღებად შესაბამისი ტერიტორიული ორგანოდან მერის წარმომადგენლის ნდობით აღჭურვილი პირი (ან წარმომადგენელი) მიიღებს **250** ლარს უჭირისუფლო მიცვალებულის სარიტუალო ხარჯების ასანაზღაურებლად.

• **მედიკამენტების დაფინანსება.**

სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკონომიურად შეჭირვებული სხადასხვა დაავადების მქონე მოქალაქეები. დაფინანსება გაიზარდა 100 ლარამდე. ონკოლოგიურ პაციენტებს შეუძლიათ ისარგებლონ წელიწადში ორჯერ 150-150 ლარით.

• **აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირება და რეაბილიტაცია.**

პროგრამის სამიზნე ჯგუფია ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები.

• **სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა და სხვადასხვა მიზეზის გამო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა**.

პროგრამის ფარგლებში მოქალაქეები, რომელთაც სტიქიური მოვლენების და/ან სხვადასხვა ობიექტური გარემოებების შედეგად დაუზიანდათ ან დაკარგეს საცხოვრებელი სახლი და არ აქვთ ალტერნატიული საცხოვრებელი ადგილი, უზრუნვეყოფილნი იქნებიან დროებითი საცხოვრებლის ქირით.

• **ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის თანადაფინანსება.**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურება. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად, არაუმეტეს – 2500 ლარისა.

• **ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება.**

ქვეპროგრამით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს **2000** ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ნებიესმიერ მოქალაქეს, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს, შეუძლია ისარგებლოს ზემოთ ჩამოთვილი პროგრამებით. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ მოქალაქეებს შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, რამდენიმე სოციალურ პროგრამაში ერთდროულად ჩართვა შეუძლიათ.

კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც ადგილობრივებს სთავაზობენ, არის მოქალაქეთა უკუკავშირის ონლაინ პლატფორმა. სოციალური პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარს შეუძლია ელექტრონულ მისამართზე ბაგჰდატი.გოვ.გე შეავსოს კითხვარი და შეაფასოს მიღებული დახმარება. რას შეცვლიდნენ? რა მოეწონათ? გაუჭირდათ თუ არა პროგრამაში ჩართვა? ქალბატონი მარეხის თქმით, მოქალაქეების მხრიდან უკუკავშირი მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მათ დაეხმარებათ საზოგადოების აზრის გაგებასა და პრობლემების გამოკვეთაში. რაც გათვალისწინებული იქნება სამუშაო პროცესში.

ანა ქორიძე

ახალი გზა 14 საოჯახო მარანს

დასაწყისი 1-ლი გვ.

მასშტაბით მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და გულისხმობს მუნიციპალური ცენტრების რეაბილიტაციას.

2022 წელს კვლავ განხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დაგეგმილი ღონისძიებები, ცენტრალური ბიუჯეტიდან უკვე გამოყოფილია 346 000 ლარი. 4-7 მარტს ბაღდათის ყველა სოფელში გაიმართა საჯარო კრებები, მოსახლეობის მიერ შერჩეულია პრიორიტეტები და მიმდინარეობს სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო აქტივობების დაგეგმვა.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსებით კი მიმდინარე წელს განხორციელდება ბაღდათის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში განთავსებულ 14 საოჯახო ღვინის მარანთან მისასვლელი საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1 397 355 ლარს. სამუშაოებს ახორციელებს შ.პ.ს „მეკა“ და შ.პ.ს. „ჯთბ გოლდენ ეიჯ“.

ბიზნესისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა არის მუნიციპალიტეტის გავნითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას ზემოთ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში კიდევ აქვს წარდგენილი რამდენიმე პროექტი და გრანტის მოპოვების შემთხვევაში სოფელ ვარციხეში, როხსა და როკითში იგეგმება ბიზნესობიექტებთან მისასვლელი საავტომობილო გზების მოწესრიგება. ასევე 5 ლოკაციაზე მოეწყობა ე.წ სტოპ დრაივები, რაც გულისხმობს ტურისტებისათვის შესვენების ადგილების მოწყობას.

კიდევ ერთი დაფინანსების წყარო გახლავთ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი, საიდანაც თანხა გამოყოფილია და მიმდინარეობს სამუშაოების დაგეგმვა. ამ ეტაპზე განსახორციელებელ ობიექტებზე ზუსტი ინფორმაცია არ გვაქვს. ცნობილია, რომ მოეწყობა ნაპირსანაგრები, სანიაღვრე სისტემები და სხვა.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით აქტიურად მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-14) ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის ბაღდათი-აბასთუმანის მონაკვეთზე, კაკასხიდი-ზეკარის კმ10-კმ17 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

იგეგმება ქალაქ ბაღდათში კახიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია (პროექტი არ გულისხმობს საფეხმავლო გზის მოწესრიგებას). ეს გახლავთ შიდასახელმწიფოებრივი გზის ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის ერთ-ერთი მონაკვეთი, ამიტომ პროექტს ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. სამუშაოები დაიწყება უახლოეს მომავალში.

ანა ქორიძე

აწარმოე საქართველოში



სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამაზე ბიზნესიდეების მიღებას იწყებს. აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმაცია საგენტოს წარმომადგენლებმა ბაღდათში მეწარმეებსა და ფერმერებს გააცნეს.

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის მიზანია მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარება, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ასევე ახალი კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირება. პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარების გაწევის გზით როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ მეწარმეებს ეძლევათ შესაძლებლობა წამოიწყონ საკუთარი საქმე, ხოლო საკონსულტაციო კომპონენტის არსებობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ცოდნის ამაღლებას ბიზნესის კეთების კუთხით.

პროგრამის ორ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ბიზნესის წამოწყებისათვის ან/და არსებულის გაფართოება გადაიარაღებისათვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა და ტექნიკური დახმარება.

სახელმწიფო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება ექნება ნებისმიერ სრულწლოვან საქართველოს მოქალაქეს, როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელსაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება არ მიუღია ან პირველად მონაწილეობს, ასევე – მეწარმე სუბიექტს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიღო პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილით განსაზღვრული ხელშეწყობა, გარდა 2020 წლის საგრანტო კონკურსის გამარჯვებული ბენეფიციარებისა. პროგრამის არსებულ მეწარმე სუბიექტებს პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა ექნებათ მათთვის უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოების ან ახალი ბიზნესპროექტის შემთხვევაში.

ფინანსური მხარდაჭერა ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი გრანტის გამოყოფას მაქსიმუმ 30 000 ლარის ოდენობით. საპილოტე რეგიონებში – იმერეთი, გურია, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონებში მაქსიმუმ 40 000 ლარის ოდენობით.

პროგრამაში გამარჯვებული მეწარმეების თანამონაწილეობის თანხა ახალი ბენეფიციარებისთვის 20%-ს, მაღალმთიან რეგიონებში კი 10%-ს შეადგენს. განსხვავებულად განისაზღვრება თანამონაწილეობის წილი პროგრამის არსებული ბენეფიციარებისთვის და შეადგენს გრანტის თანხის არანაკლებ 50%-ს, მაღალმთიან რეგიონებში კი 25%-ს.

პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულია შემდეგი საქმიანობები:

- ინტელექტუალურ სერვისზე ორიენტირებული პროექტები;
- განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტი;
- მაღალი ინკლუზიურობის მქონე სექტორებზე ორიენტირებული პროექტები;
- ახალი ბიზნესის წამოწყება;
- ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
- სოფლად/მაღალმთიან სოფელში ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
- შშმ პირთა მიერ ბიზნესის წამოწყება და არსებულის გაფართოება;
- ახალგაზრდა (29 წლის ასაკის ჩათვლით) მეწარმე სუბიექტის მიერ ბიზნესის წამოწყება და არსებული ბიზნესის გაფართოება.

პროგრამის ფარგლებში უკვე მხარდაჭერილია 6901 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიცია 78 მლნ ლარზე მეტია. პროგრამის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაციის ნახვა და რეგისტრაციის გავლა შეგიძლიათ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://grantsenterprise.ge/extranet/start.php

განაცხადების მიღება დასრულდება 11 აპრილს, 15:00 საათზე. პროგრამა ხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით. საკონტაქტო ცხელი ხაზი: 1525.

ინფორმაცია აღებულია „აწარმოე საქართველოს“ ოფიციალური ვებ-გვერდიდან

სიკეთე გადამდებია

„ჩემი გაზეთის“ გუნდი იწყებს ახალ რუბრიკას „სიკეთე გადამდებია“. გვინდა გაგაცნოთ ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის უანგაროდ აკეთებენ კეთილ საქმეს. ბაღდათში ბევრი ასეთი ადამიანია და შევეცდებით, ყოველ ნომერში შემოგთავაზოთ ინფორმაცია მათ შესახებ.

მიუსაფარი ცხოველების მფარველები

მელაკუდა სამფეხა ძაღლია. ბაღდათის ცენტრში დიდმა მანქანამ გადაუარა, რის გამოც ერთი ფეხი მოსწყდა. რამდენიმე დღის შემდეგ ძაღლი აღმოჩნდა საიმედოს სასაფლაოზე. კეთილმა ადამიანებმა შენიშნეს ცხოველი და მისი დახმარება შეძლეს, პირველადი დახმარება ადგილზევე გაუწიეს. გარკვეული დროის შემდეგ მელაკუდას ქუთაისში ვეტერინარულ კლინიკაში კიდურის ამპუტაცია ჩაუტარდა. დღეს ის თავს კარგად გრძნობს და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში ჯერ ნინო ბურჯანაძის ოჯახში, ხოლო ახლა სოფო ღვალაძის ოჯახში ცხოვრობს.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქუჩებში მსგავსი ისტორიის მქონე უამრავი ძაღლი ცხოვრობს. საბედნიეროდ, მათ დახმარებასა და დაპურებას ბევრი ადამინი ახერხებს. „ჩემი გაზეთის“ გუნდი გაგაცნობთ 5 არაჩვეულებრივ, ქველმოქმედ ქალბატონს, რომლებიც ამ კეთილი საქმის ირგვლივ გაერთიანდნენ. ესენია: ლელა ჭრელაშვილი, ანა ჭრელაშვილი, ეკატერინე გურგენიძე, მარიამ ასათიანი და ნათია ხარატიშვილი. თითოეული მათგანი საკუთარი ხარჯებით ზრუნავდა უპატრონო, თავშესაფრის გარეშე დარჩენილ, ქუჩაში მყოფ ძაღლებზე. აპურებდნენ და უფრთხილდებოდნენ მათ ჯანმრთელობას. პანდემიის დროს, გოგონებმა ერთმანეთი აღმოაჩინეს და გაუჩნდათ სურვილი გაერთიანებულიყვნენ. ჩამოაყალიბეს საერთო ჯგუფი სოციალურ ქსელში – „ბაღდათის მიუსაფარი ცხოველები“, სადაც ერთმანეთს უზიარებენ ცხოველების პრობლემებს. ამ ჯგუფის დახმარებით მცირეოდენი შემოწირულობაც გროვდება, რომლებიც ხმარდება ძაღლების მკურნალობას. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად რამდენიმე ცხოველი მძიმედ დაზიანდა და აუცილებელი გახდა მათი კლინიკაში გადაყვანა, ერთ-ერთ ძაღლს დასჭირდა კიდურის ამპუტაცია. შეგროვებული თანხით ასევე ყიდულობენ ცხოველებისათვის საჭირო მედიკამენტებს. შემოწირულობა სხვადასხვაგვარია. წყალთაშუის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში მიუსაფარი ძაღლებისთვის გააკეთეს რამდენიმე სახლი, რომელიც განთავსდა ქალაქ ბაღდათში ერთ-ერთ ქუჩაზე. ხშირია კერძო შემოწირულობები – ზოგი თანხით, ზოგი კი საკვებით ახერხებს დახმარებას. გოგონები გულისტკივილს გამოთქვამენ მათ მიმართ არასწორი დამოკიდებულების გამო. მარიამ ასათიანი ამბობს, რომ საზოგადოების ნაწილი სხვა კუთხით უყურებს მათ საქმიანობას და ისეთ კომენტარს აკეთებენ, რომ დიდ გულისტკივილსა და უსამართლობის შეგრძნებას იწვევს. შეიძლება ცხოველებისადმი ყველას არ ჰქონდეს ისეთი დამოკიდებულება, როგორიც მათ აქვთ, მაგრამ ხელი არ უნდა შეუშალონ ამ კეთილი საქმის კეთებაში.

გოგონები მიუსაფარ ძაღლებზე დიდი სიყვარულით საუბრობენ. მათი თქმით, ყველა ცხოველს თავისი ისტორია აქვს და ძაღლებს სახელებიც კი დაარქვეს. ლელა ჭრელაშვილის თქმით: „ძაღლებს გააჩნიათ უდიდესი მადლიერების გრძნობა, მათ იციან დამახსოვრება, ათას ადამიანში ამოგარჩევენ სუნით და ძალიან განიცდიან მეგობრის დაკარგვას, ტირიან კიდეც“. უმრავლესობას ძაღლებისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე ჰქონდა. განსხვავებული ისტორია აქვს ნათია ხარატიშვილს. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მისი ძაღლებისადმი სიყვარული ერთ ავტოსაგზაო შემთხვევას უკავშირდება. ნათიას ძაღლს მანქანა დაეჯახა და დაშავდა. მან ყველაფერი გააკეთა ძაღლის გადასარჩენად. ამ ფაქტის შემდეგ ნათიას დამოკიდებულება ცხოველებისადმი შეიცვალა და უფრო მზრუნველი გახდა.

ჩვენს ქველმოქმედ ქალბატონებს დიდი გეგმები და სურვილები აქვთ. სურთ, მოხდეს მეტი დაინტერესება და გვერდით დგომა სახელმწიფოს მხრიდან ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში. აპირებენ ჩამოყალიბდნენ როგორც ორგანიზაცია და უკეთ შეძლონ მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა. ბაღდათის მუნიციპალიტეტში არ არსებობს ვეტერინარული კლინიკა, სამედიცინო დახმარების გასაწევად გოგონებს უწევთ ცხოველების ქუთაისში წაყვანა. მათი დიდი სურვილია ჩვენს მუნიციპალიტეტში მოხდეს რაიმე ფართის გამოყოფა, სადაც მოხერხდება ძაღლების თავშესაფრის მოწყობა, მათი სტერილიზაცია, რაც უფრო უსაფრთხოს გახდის ცხოველების ქუჩაში გადაადგილებას. გოგონები ასევე მიმართავენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს – კეთილი ნებისა და სურვილის შემთხვევაში ყველას შეუძლია ქუჩაში მყოფი ძაღლის შეკედლება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ყოველ წელს მიუსაფარი ცხოველებისთვის გარკვეული რაოდენობის თანხა გამოიყოფა, რომელიც ძაღლების აცრას ითვალისწინებს. უპატრონო, ქუჩაში მყოფი ცხოველების პრობლემა ქვეყნის მასშტაბით დგას და ამ საკითხზე რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობს.

„ჩემი გაზეთის“ გუნდი წინსვლასა და წარმატებას უსურვებს მათ ამ კეთილშობილურ და მადლიან საქმეში.

ნინო როგაძიძე

აუდიო წიგნები ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

აფხაზეთის უსინათლოთა და სმენადაქვეითებულთა კავშირ „ჰერას“ ინიციატივით, ა.(ა). ი. პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრმა 15 აუდიო წიგნი შეიძინა, რომლებიც ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკას გადაეცა. ამ ეტაპზე შეძენილია შემდეგი წიგნები:

- გურამ დოჩანაშვილი – სამოსელი პირველი;
- სულხან-საბა ორბელიანი – სწავლებანი, სიბრძნე სიცრუისა;
- ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები;
- რევაზ ინანიშვილი – რჩეული მოთხრობების კრებულიდან „ჩიტების გამომზამთრებელი“;
- ჯემალ ქარჩხაძე – იგი;
- გიორგი ერისთავი – გაყრა, ძუნწი;
- ჭაბუა ამირეჯიბი – დათა თუთაშხია, გორა მბორგალი;
- ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე პოეტების რჩეული ლექსების კრებული (სასკოლო პროგრამა), 3 აუდიო დისკი;
- ქართველი და უცხოელი პოეტების რჩეული ლექსების კრებული;
- სასკოლო პროგრამა ლექსები, პოემები, მოთხრობები, ზღაპრები, 3 აუდიო წიგნი.

ნებისმიერ მსურველეს შეუძლია მობრძანდეს ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და ისარგებლოს აუდიო წიგნებით.

იმგზაურე ბაღდათში

ბაღდათის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი და დიდი ისტორიის მქონე ძეგლი მდებარეობს. მათი ნაწილი დანგრეულია და აღდგენას საჭიროებს. „ჩემი გაზეთის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდება ინფორმაცია ღირსშესანიშავი ადგილების შესახებ. გვინდა, მოსახლეობას გავაცნოთ მუნიციპალიტეტში მდებარე ისტორიული ძეგლები. ამ მიზნით დავიწყეთ კიდევ ერთი ახალი რუბრიკა – „იმოგზაურე ბაღდათში“, რომლის ფარგლებშიც ამ ნომერში ბერიეთის მონასტრის ისტორიას გაგაცნობთ.

ბერიეთის მონასტერი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ კაკასხიდიდან აღმოსავლეთით, 2 კმ-ის დაშორებით, ხვალასკურის მთის მიდამოებში მდებარეობს ნასოფლარი ბერიეთი (სოფელი სავარაუდოდ 1930-იან წლებში უნდა დაცლილიყო). სავარაუდოდ, XVII-XVIII სს-ში სოფელი ბერიეთი ზეკრის ხეობისკენ მიმავალი გზის ერთ-ერთი პუნქტი იყო. ის საკმაოდ დიდი და ჩამოყალიბებული სოფელი იქნებოდა, რაზეც დღევანდელი ნანგრევები მიუთითებს. ნასოფლარში მდებარეობს მცირე ზომის ეკლესია, რომელიც წმინდა ელია წინასწარმეტყველის (ჰეზბიტელის) სახელობისაა. იგი წარმოადგენს ბაზილიკური ტიპის, ერთ ნავიან ნაგებობას. ეკლესიის მთავარი შესასვლელის კარის თაღზე ორ ლომს შორის ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა ხუცური წარწერით „ჯვარი დიდებისა“.

ბაღდათის თვითმმართველობაში ქართული ოცნების მოსვლის შემდეგ, აქტიურად დაიწყო საუბარი ტაძრის რესტავრაციაზე. ამ საკითხზე განსაკუთრებით აქტიურობდა აწ გარდაცვლილი მამუკა გორგოძე, რომლის ძალისხმევითაც შესაძლებელი გახდა გაკეთებულიყო ეკლესიის აღდგენის პროექტი. 2020 წელს ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტის – მეუფე ანტონის კურთხევითა და ბაღდათის თვითმმართველობისა და ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით ალბათ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ეკლესია ხელახლა იქნა აღდგენილი და შესაძლებელი გახდა აქ სამონასტრო ცხოვრება გამოცოცხლებულიყო. ეკლესია-მონასტრის წინამძღვარი მამა ეფრემი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ ეკლესიის აღდგენის პროცესში ნაპოვნი იქნა ადამიანების ჩონჩხები და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლები, ასევე აღმოჩენილ იქნა მოჩუქურთმებული ქვები. მისივე თქმით, ეკლესია სავარაუდოდ დაარსებულია VIII-IX საუკუნეებში, ხოლო XVII ს-ში სამხრეთ საქართველოდან გადმოსახლებულმა მოსახლეობამ ხელახლა აღადგინა.

ყოველ წელს, 2 აგვისტოს, აღინიშნება ბერიეთობის დღესასწაული. მამა ეფრემის თქმით, ნამდვილი ელაობა სწორედ ბერიეთობის დღესასწაულია, რადგან სწორედ ეს ეკლესიაა წმინდა ელიას სახელობის. სოფელ ბერიეთში უფრო გავრცელებული გვარები ყოფილა: ბერიძე, გორგოძე და კოხოძე. დღესასწაულზეც ძირითადად ამ გვარის წამომადგენლები წმინდა ადგილის მოსალოცად ბერიეთში ადიან და რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავენ.

P.S. ვფიქრობ, ნასოფლარ ბერიეთის არქეოლოგიური შესწავლა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან აქ გადიოდა სამხრეთ საქართველოდან დასავლეთში გადმოსასვლელი გზის ერთ-ერთი მონაკვეთი და ამ ტერიტორიაზე ბევრი საინტერესო არტეფაქტის ნახვაა შესაძლებელი.

ჯუანშერ გეგეშიძე

ნიჭიერი თაობა

რუბრიკა „ნიჭიერი თაობა“ აგრძელებს ერთგული მკითხველისთვის შემოქმედებითი ადამიანების გაცნობას. გაზაფხულის პირველი თვის სტუმრად ნიკოლოზ კოხოძე მოვიპატიჟეთ. ნიკოლოზი 1994 წლის 30 მაისს ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათში დაიბადა. წერს ლექსებს, ზღაპრებსა და გამონათქვამებს. რადგან მას საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს, მისი ლამაზი პოეზია ისაუბრებს ავტორის პოეტურ სულისკვეთებაზე.

❖

შენთვის ცხოვრება ფერადი,
ფერად-ფერადი ფერები...
წუხელ იმაზე ვღელავდი,
რომ ვეღარ მოგეფერები.
ჩემი ცხოვრების ხატვაში
ჭარბობს შავ-თეთრი ფერები,
მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში
ვიყავით ბედნიერები.

❖

ქვეყნად არავის აღარ ვენდობი!
მეც ხომ არავინ
აღარ მენდობა...
მოახლოვდება წუთი შენდობის,
აღარ მჭირდება როცა შენდობა.
ახმაურდება ბავშვის სამარის
დაუნდობელი, შავი ბელტები
და სამართალი,
ღმერთო, სად არის,
თუ არ ვცხოვრობ და
მაინც ვბერდები?!

❖

ბნელ შენობაში ღამურები
სიცოცხლეს გმობენ!
მათ გამოჩენას ღამღამობით
სად არ ელიან...
ცივ საფლავებში ღამღამობით
მკვდრები ამბობენ:
„ზოგის სამოთხე ჯოჯოხეთზე
საზარელია“
მაღალ ხრამებში მადიანი
ყვავი და ლეში
მოსჩანს და იქვე ზეცას უყეფს
მუხის ფუღურო.
თუ გსურს გაიგო,
რა მაწუხებს სინამდვილეში,
ჩემს უძლურ სხეულს,
ჩემთან ერთად უნდა უყურო.

აზა მაშანეიშვილი

თეატრალური გაზაფხული

ზაზა კიკნაველიძე: ჯერ "სოფლის აშიკი", მერე...

„ხელოვნება, თავისუფლება და შემოქმედება უფრო სწრაფად შეცვლის საზოგადოებას, ვიდრე პოლიტიკა" (ვიქტორ პინჩუკი). ახლა, ამ მძიმე ჟამს, როცა ადამიანები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ, მხოლოდ საზოგადოებრივი ერთიანობა, პატივისცემა და თანადგომა თუ გადაგვარჩენს. ხელოვნებას ყველა ეპოქაში განსაკუთრებული ზეგავლენით შეეძლო გადამწყვეტი და მართალი სიტყვა ეთქვა საზოგადოებისთვის. ბაღდათის მუნიციპალიტეტში კიდევ უფრო დიდი მონდომებითა და შემართებით დაიწყო კულტურული სიახლეები. „ჩემი გაზეთის" ფურცლებზე გზადაგზა გიამბობთ სიახლეებსა თუ გამოწვევებზე.

ბაღდათის სახალხო თეატრს ახალი რეჟისორი ჰყავს. ჩვენი გუნდი დაინტერესდა მისი გეგმებით, იდეებით და სასაუბროდ ვესტუმრეთ. სტუმრობა უშუალოდ ახალ სპექტაკლზე მუშაობის პროცესს დაემთხვა. ჩემი სუბიექტური აზრით, ეს ცალკე ხელოვნებაა. საოცრად საინტერესოა თითოეული პერსონაჟის განხილვა, მისი ემოციების, გრძნობების, ხასიათის მორგება, პერსონაჟის ტყავში შეძრომა და სხვა „მედ" გადაქცევა, სადაც ყველა სიტყვას თავისი ინტონაცია, დატვირთვა და აღქმა აქვს. თითქმის მთელი საათი ვუსმენდი აღტაცებული და კიდევ ერთხელ ვიწამე ხელოვნების ზებუნებრივი არსის.

ზაზა კიკნაველიძე დრამისა და ტელედადგმების რეჟისორია. მან საუბარი სტუდენტობის პერიოდით დაიწყო და მადლიერებით გაიხსენა მისი მასწავლებელი, საკუთარი პროფესიის ნამდვილი ოსტატი – ბატონი გიზო ჟორდანია. ჩვენი რესპონდენტი ამბობს: „შეიძლება ისწავლო, წარჩინებით დაეუფლო სამსახიობო ხელოვნებას, მაგრამ მაინც წიგნების ჩაკეტილ თაროდ გადაიქცე, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორ საზოგადოებაში, როგორი პედაგოგის ხელში მოხვდები". მისი გზა კი ათწლიანი სამუშაო გამოცდილებით გაგრძელდა და გაღრმავდა მოზარდმაყურებელთა თეატრში. ნაბიჯნაბიჯ გაიარა ყველა საფეხური – იყო სტაჟიორი, მეორე რეჟისორი, რეჟისორის ასისტენტი, მსახიობის ოსტატობისა და მსახიობის მეტყველების პედაგოგი, სტუდიის დირექტორის მოადგილე.

ბატონი ზაზას მოსვლა ჩვენი მუნიციპალიტეტის სამსახიობო გუნდში შემთხვევითობა სულაც არ იყო. მან ნახა ჩვენი დასის მიერ წარმატებით ნათამაშები სპექტაკლი, გაიცნო ხელმძღვანელები, დაინახა მსახიობების მონდომება და განვითარების სურვილი. ამ ყოველივემ დიდი გავლენა მოახდინა მასზე დაბევრი ფიქრის გარეშე ჩაება მუშა პროცესში.

ბაღდათელი მაყურებელი, სავარაუდოდ, აპრილის ბოლოს ნიკო ლორთქიფანიძის ნოველების მიხედვით

დადგმულ სპექტაკლს, უკვდავ კლასიკას, „სოფლის აშიკს"იხილავს.

რეჟოსორს დიდი გეგმები და იდეები აქვს. უკვე ჩანიშნულია მეორე სპექტაკლიც, თუმცა ამ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია „სოფლის აშიკმა" მისი სიტყვა თქვას და ბაღდათელი პუბლიკა ინტერესით დამუხტოს. ბატონი ზაზას თქმით, „მსახიობების სამუშაო განწყობაზე დიდ როლს თამაშობს სტაბილურობის განცდა. ბაღდათს ჰყავს სამი თაობის მსახიობები. თითოეული მათგანი მნიშვნელვანი ფიგურაა სამსახიობო გუნდისთვის. ერთობლივი მუშაობა ამაღლებს მოტივაციას, სამუშაო პროცესს ხდის ნაყოფიერსა და სასიამოვნოს, ამიტომ ბაღდათს ნამდვილად დიდხნიანი გეგმებით ვესტუმრე".

ბაღდათელ მაყურებელს სახალხო თეატრის ახალი რეჟისორი და მსახიობები მრავალფეროვან თეატრალურ გაზაფხულს ჰპირდებიან.

აზა მაშანეიშვილი



ანა-რეკლი

ბაღდათი ძველ და ახალ ერ-ფერებით



ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ქორიძე
„ჩემი გაზეთის" გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ჯუანშერ გეგეშიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო რობაქიძე, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში"